საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 189

სამშაბათი, აპრილის 11

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ოთხშაბათს, აპრილის 12-ს დილის 10 საათზე

. ტფ. აღმასკომის შენობის ეზოში (ყოფილ ქალაქის თვითმმართველობის) გაგრძელდება საჯარო ვაჭრობა

ნოხეულობაზე

243

განცხადება

პრილის შუა რიცხვებიდან გამოვა ორკვირეული გამოცემა ქართულ ენაზე

„ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრება“

ოსტელსახკომისარიატთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის მიერ ჟურნალში ოთავსებული იქნება სხვა და სხვა განკარგულებანი და მოქმედებანი ფოსტელ სახკომისარიატის და ფოსტელპროკავშირის ცენტრალური გამგეობისა.

როვინციელ კორესპონდენტებს შეუძლიათ გზავნონ წერილები ფოსტელცხოვრებიდან, აგრეთვე ყოველგვარი მასალა შემდეგი მისამართით: ფოსტელსახკომისარიატი, სარედაქციო კოლეგიას.

რულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ამა წლის აპრილის 12-ს დანიშნულია

რულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

საგანგებო სესია

საგანგებო სესიის დღიურ წესრიგს შეადგენს:

1. ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია.
2. დამტკიცება დებულებისა ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ.
3. პროექტი დებულებისა მიწად-მოწყობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით, პროექტი დეკრეტისა მიწად-მოწყობის და მიწად-სარგებლობის ნიადაგ[illegible] დაცვის განხილვის წესის შესახებ.
4. მოხსენება სიმშილობის შესახებ.

რულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი თ. კალანდაძე.

ისტორიული ვითარება

დღეს ორი უმთავრესი ცენტრი იპყრობს არა მარტო ჩვენი საზოგადოების ყურადღებას, არამედ მთელი მსოფლიოსას. ეს არის გენუასა და ბერლინის კონფერენციები. ეს ორი ცენტრი გამომხატველი არის აუცილებლად იმ ულიერი განწყობილებისა, რომელიც შეიქმნა მსოფლიოს მებრძოლ—ძალთა შორის, იმ ობიექტიური გარემოებისა, რომელიც განმტკიცდა საერთაშორისო ომის დათავების შემდეგ.

როგორც წინა წერილებშიაც გვქონდა აღნიშნული, დღეს რუსეთის კომუნისტებს, როგორც ერთგვარს ხელმძღვანელს საერთაშორისო სოციალური რევოლიუციის, უხდებათ ორ ფრონტზე ოპერაციების წარმოება. მემარჯვენე სოციალისტები და კაპიტალისტური სახელმწიფოები იყვნენ ის ძალები საერთაშორისო მაშტაბში, რომელიც იარაღით ხელში ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოთა რესპუბლიკებისა და სოციალური რევოლიუციის განვითარების წინააღმდეგ. კაპიტალისტურმა ევროპამ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის თავიდანვე ინტერვენციის რკალი შემოარტყა და რუსული კონტრ-რევოლიუციის ძალების დახმარებით ცდილობდა დიადი სოციალური მოძრაობის ძირშივე ჩაკვლას. რაც შეეხება მემარჯვენე სოციალისტებს, ისინი რუსეთის ტერიტორიაზე იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ მუშურ გლეხურს დიქტატურას და უსაშინელესი მოღალატის როლი ითამაშეს დიდი რევოლიუციის ისტორიაში. არ ყოფილა არც ერთი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა რუსეთში, რომელშიაც მენშევიკ-ესერთა პარტიას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და თავიანთი ძალებით არ დახმარებოდნენ ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგოთ მომართულ მოძრაობას. ყველამ კარგათ იცის ესერების როლი ჩეხო-სლოვაკების აჯანყებასა და კოლჩაკ-დენიკინ-იუდენიჩის ანტი-სოციალისტების გამოსვლებში.

მაგრამ ესერების პარტიამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი თავისი ტერორისტული აქტებით, რომელიც მიმართული იყო კომუნისტური რევოლიუციის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ამ დღეებში საკმაო დოკუმენტები გამოქვეყნდა ესერების მოღვაწეობის შესახებ ამ დარგში, რომელიც სავსებით ნათელს ყოფს მათს მზაკვრულს მოქმედებას. ესერებმა და მენშევიკებმა უდიდესი ისტორიული ღალატის ნიმუშები მოგვცეს რუსეთში მუშათა კლასის მიმართ და ისინი ვერასოდეს ვერ მოიშორებენ მოღალატისა და რენეგატების სახელს. მაგრამ მემარჯვენე სოციალისტების ღალატი მარტო რუსეთის მაგალითებით არ ამოიწურება. არ დარჩენილა დედამიწის ზურგზედ არც ერთი მხარე, სადაც ამა თუ იმ ფორმით მათ არ ეღალატნოთ მუშათა კლასისთვის და გადამწყვეტ მომენტში ზურგში მახვილი არ ჩაეცათ რევოლიუციონური მოძრაობისათვის. გერმანიის სოციალ-დემოკრატების როლი გერმანიის რევოლიუციაში ნათელი ფერადებით ახასიათებს მთელი ევროპის მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეობას. საერთოდ ევროპის ბურჟუაზიის რევოლიუციონურ ენტუზიაზმის პერიოდში, 1918—20 წლებში ევროპის მემარჯვენე სოციალისტებმა საკმაოდ გაუმაგრეს ზურგი და დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ პარტიების დახმარებით შეინარჩუნეს ევროპის კაპიტალისტებმა პოლიტიკური ბატონობა მთელს ევროპაში.

ამგვარად არ არსებობდა სოციალისტებს შორის რაიმე თანხმობა, რაიმე საერთო ენა, წინააღმდეგ ისინი იარაღით ხელში იყვნენ დაპირისპირებულნი და სამოქალაქო ბრძოლის საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ.

საერთოდ ასეთი იყო ის განწყობილება, რომელიც არსებობდა მსოფლიო ძალთა შორის. ერთს მხარეზე აქ იდგნენ საბჭოთა რესპუბლიკები და კომინტერნი, მეორე მხარეზე კაპიტალისტური ევროპა და მემარჯვენე სოციალისტები. მსოფლიო შეიარაღებული ბრძოლის პროცესში იმყოფებოდა.

მაგრამ ეს იყო ახლო წარსულში. თანამედროვე ცხოვრების ვითარება და პირობები, შედარებით წარსულთან, რამოდენიმედ შეიცვალა. მებრძოლ ძალთა შორის ერთგვარი წონასწორობა და შეთანხმების შესაძლებლობა შეიქმნა.

კაპიტალისტური ევროპა დარწმუნდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების იარაღით ხელში განადგურება შეუძლებელი არის. რუსეთმა შესძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ირგვლივ შემორტყმული კონტრ-რევოლიუციონური რკალი გაანადგურა. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ კაპიტალისტურ ევროპის პოლიტიკა რუსეთისადმი რამდენიმედ შეიცვალა. ევროპის ეკონომიური აღორძინება და მისი სოციალური საფუძვლების აღდგენა შეუძლებელი შეიქმნა რუსეთის დაუხმარებლად. იზოლიაციის გზით, ვერსალის საზავო შეთანხმებითა და რუსეთის ბლოკადით ევროპა უსაშინლეს ეკონომიურ კრიზისებს ქმნიდა. ამიტომ ევროპა იძულებული შეიქმნა ძველი პოლიტიკის რევიზიას შესდგომოდა და საბჭ. რესპუბლიკებთან ურთიერთობაში შესულიყო. ჩვენ ვიცით, რომ დიდი უმეტესობა კაპიტალისტური სახელმწიფოებისა რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულებაში არიან. ამგვარად შეიცვალა ძველი პირობები და სრულიად ახალი მომენტები და მოვლენები შეიქმნა მსოფლიოში. ამ საერთო ფონზე მუშავდება თანამედროვე პოლიტიკა, რომელსაც სარჩულად უდევს, კაპიტალისტური ევროპისა და საბჭოთა რუსეთის დროებით საჭიროება.

ეს საჭიროება გამოწვეული არის ეკონომიური ინტერესებით. ორივე მხარე, საბჭ. რესპუბლიკებიცა და ევროპაც იძულებული შეიქმნენ ამ გზას დასდგომოდნენ. გენუას კონფერენცია გამომხატველი არის სწორედ ამ განწყობილებისა და მდგომარეობის. ეს არის ფაქტიური პირობების ასახვა, შესაფერისი პოლიტიკის გამომუშავება. ამით იწყება სრულიად ახალი ისტორიული ხანა მებრძოლ მხარეთა შორის. მსოფლიო ამ დამოკიდებულებას ვერ ასცდება. დღეს ასეთი ობიექტიური მდგომარეობა არის შექმნილი, რომ ამ გზის გადახვევა და საწინააღმდეგო მეთოდების შემუშავება ყოვლად შეუძლებელი არის. მსოფლიომ უნდა მიიღოს ზავი დროებით მაინც, რომ განაახლოს თავისი დარღვეული ეკონომიკა.

რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს რომ მებრძოლი მხარეები სამუდამოდ ხელს აიღებენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედებაზე. ისინი ყოველ პირობებში და გარემოებაში შეეცდებიან განუმზადონ ერთმანეთს გამანადგურებელი პირობები, მაგრამ დღეს მხოლოდ შემზადების პერიოდი არის გადამწყვეტ ბრძოლისათვის, საკუთარი განვითარების ხანა. სანამ ეს ძალები არ განვითარებულა შესაფერისად და არ შექმნილა ხელსაყრელი პირობები, მოწინააღმდეგე ძალები იძულებულნი არიან თავიანთი პოლიტიკა უმთავრესად თანამშრომლობისაკენ გადახარონ და ეკონომიური ურთიერთობისათვის ნიადაგი შექმნან.

ეს საერთო მიმოხილვა ჩვენ გვაუწყებს, რომ მსოფლიო ახალ ისტორიულ პერიოდში უნდა შევიდეს, მან აუცილებლად უნდა განვლოს მოწინააღმდეგე ძალთა შეთანხმების პერიოდი, რომ შემდეგში კვლავ გადავიდეს ახალ შეტევაზე და ახალს დაპირისპირებაზე. ჩვენ განვიცადეთ 1917—21 წლების პერიოდი, როდესაც საერთაშორისო სოციალური ძალებით ერთი მეორეს ებრძოდნენ იარაღით ხელში. დღეს ეს ბრძოლის ხანა რამოდენიმედ შეიცვალა, იქნება ახალი მომენტები, რომლებიდაც უნდა აღმოცენდეს ახალი ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკებსა და კაპიტალისტურს ევროპას შორის.

მაგრამ არა მარტო ამ ფრონტზე იქნება შეთანხმებისა და მორიგების ნიადაგი; ასეთივე პირობებს შექმნიან სოციალისტურ ჯგუფებს შორის. დღეს კაპიტალი საერთო შეტევაზე გადავიდა პროლეტარიატის წინააღმდეგ და ხელფასისა და დროის გადიდებით ცდილობენ ზედმეტი მოგება აიღონ მუშათა ზურგიდან. პროლეტარულ მასისათვის იქმნება უკიდურესი ეკონომიური გაჭირვების პირობები. კაპიტალის თანამედროვე შეტევამ გამოიწვია მასათა დაახლოვება და საჭიროება შეერთებული სამოქმედო გეგმის გამომუშავებისა. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა გაერთიანებული პროლეტარული ფრონტის შექმნის იდეა. დღეს, როგორც ვიცით, ბერლინში მოლაპარაკება არის სამი ინტერნაციონალის აღმასკომებისა. ჩვენ არ ვიცით თუ როგორს შედეგებს მოგვცემს ეს კონფერენცია და რომელ საკითხებში შესძლებენ სოციალისტები შეთანხმებას. პირველ კრებაზე განწყობილება ძლიერ გამწვავდა ე. ვანდერველდეს გამოსვლით. უკანასკნელი ცნობებით ინალისულმა მაკდონალდმა ზომიერი სიტყვით გაჰფანტა კონფერენციის ჩაშლის შესაძლებლობა. ასე თუ ისე არის ნიშნები შეთანხმებისა. მაგრამ შესძლებენ თუ არა ხელმძღვანელი პარტიები და ინტერნაციონალები ერთი საერთო პლატფორმების გამომუშავებას. პროლეტარული მასა მაინც შესძლებს მათ გარეშე გაერთიანებას და ერთიან მთლიანი ფრონტის შექმნას.

ჩვენთვის ნათელი არის, რომ მუშათა მოძრაობა თანდათან გაერთიანების ფორმებს მიიღებს და იგი შეიმუშავებს ერთს მთლიან სამოქმედო გეგმას.

ამ გვარად თანამედროვე ვითარება და ისტორიულად შემუშავებული პირობები ყოველს ფრონტზე შეთანხმებისაკენ მიაქანებს კაცობრიობას.

როგორც აღვნიშნეთ, ეს შეთანხმება არის გამოწვეული ისტორიული პირობებისაგან, ისტორიულ გარემოებისაგან. დღევანდელი ვითარება არის ახალი ხანა კაცობრიობისათვის და იგი რამდენიმედ განსხვავდება ამ ორი-სამი წლის წინედ არსებულ ვითარებისაგან. თუ როგორს ფორმებსა და სახეს მიიღებს ეს ვითარება, როგორის ფორმატით დამყარდება იგი, ეს მეორე საკითხი არის. ჩვენთვის ნათელი არის მხოლოდ, რომ თანამედროვე კაცობრიობამ უნდა შესძლოს შეთანხმების გზების გამოძებნა მონახოს ის პლატფორმა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება მოწინააღმდეგე ძალების დაახლოვება.

ეს არის აზრი და დღევანდელი მოთხოვნილება თანამედროვე ისტორიული ვითარებისა.

სიმ. ხუნდაძე.

რევოლიუცია და ეროვნება

2.

როგორია ქართველ ერის მატერიალ-ფიზიკური ენერგია? როგორია მისი ეთნიური სიძლიერე? როგორია მისი კლიმატიურ-გეოგრაფიული პირობები?

პატარაა საქართველოს ტერიტორია, მცირეა ქართველთა რიცხოვნება. მაგრამ ეს საფუძველი არაა ეროვნული არსებობის უარყოფისა. საქართველოს ტერიტორია დაახლოვებით 5—6 ათას ოთხ. კილომეტრით დიდია ვიდრე ჰოლანდიის მიწა-წყალი. 18 ათასი კილ. მეტია ვიდრე ბელგიის ტერიტორია. იგი სერბიის ტერიტორიას ეთანასწორება და მთა-შავეთს კიდეც რამდენიმეჯ აღემატება.

კლიმატიური და გეოგრაფიული პირობები საუკეთესო ნიადაგია ეროვნულ სახელმწიფოს გამტკიცებისათვის.

ბუნებრივ სიმდიდრის უტილიზაცია გარანტიას იძლევა ეკონომიკის კულმინაციურ წერტილამდე აყვანისათვის. ასეთია კონკრეტად პოლიტიკური სქემა მე-19 საუკუნის პირველი წლებისა. ამრიგად მე-19 საუკუნეში სახელმწიფოებრივი ცხოვრების კაპიტულიაცია და უცხო ძალის ჯალათური ბატონობა ვერ აჩერებს ეროვნულ თავისუფლებისადმი მისწრაფების ჩაკვლას და ჩაგრული ერი ხან სტიქიურ სურათებში შლის თავის წინააღმდეგობას, ხან ლიტერატურაში ამჟღავნებს ეროვნულთ თავისუფლებისკენ სწრაფვას, ხან კი პოლიტიკურ ჯგუფების მოქმედებაში გამოხატავს მის ტენდენციას.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ამის მიზეზი შემდეგია—ყოველი შეგნებული ქართველისათვის საქართველოს მარადისობა იდეფიქსია.

ამ ნიადაგზე ხდებოდა უმთავრესად სოციალ-ფედერალიზმის აღმოცენება საქართველოში.

სოციალ-ფედერალიზმის ჩამოყალიბებით პრობლემა საქართველოს თავისუფლებისა გადაჭრილ იქნა თეორიულად. ეროვნული თავისუფლება მიღებულ იქნა, როგორც საშუალება კლასთა ბრძოლის გაძლიერებისა და ამდენათვე საშუალება სოციალისტური კულტურისაკენ სვლისა, ხოლო სოციალისტური კულტურა მიღებულ იქნა, როგორც საშუალება ეროვნული თავისუფლების განმტკიცებისა.

სოციალ-ფედერალიზმისათვის არ არსებობს ერი და სოციალიზმი, როგორც მოწინააღმდეგე ცნება. ამ ორ ცნებათა შორის წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ თანხმობაა, ჰარმონიაა.

როდესაც ამ თვალსაზრისით უდგებით ჩვენ თანამედროვე ისტორიულ ეპოქას, ჩვენი გზა ნათლად და აშკარად ისახება. ჩვენ აუცილებლად იმ ბანაკში ვდგებით, რომლის მისიაა კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის წარმოშობა, რადგან ეროვნული თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ახალ სოციალ ფორმაციაში შესაძლებელი, რომელიც კაპიტალიზმის ნანგრევებზედ უნდა აღმოცენდეს. არჩილს კარგად ესმოდა ეს გარემოება და მხოლოდ რევოლიუციის საშუალებით ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს განთავისუფლება.

დღეს რუსეთით დაწყებული მოძრაობა ბევრს კიდევ ვერ არწმუნებს

იმ დიდ მნიშვნელობაში, რომელიც მან უნდა შეასრულოს მე-20 საუკუნეში. ჩვენ წინ მხოლოდ ნაწილობრივია თვისება ხდება იმ მწარე რეალობის, რომელსაც წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრება, განადგურებული ომისა და რევოლიუციისაგან და ბლოკადურ მდგომარეობაში მყოფი ევროპის კაპიტალის მიერ.

ჩვენ წინ გადაშლილია აგრეთვე ის სურათი, რომელიც ესოდენი სიმწვავით გავლენას ახდენს ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებაზე და ანაზდეულად უარვყოფთ რევოლიუციური მოძრაობის დიდ მნიშვნელობას **პროგრესისა და კულტურისათვის**.

მიუხედავად ყოველგვარი ვიწრო დაბრკოლებისა ჩვენი გზა არის გზა „უკანონო“ რევოლიუციური მოძრაობისა, ჩვენი ბრძოლის მეთოდი რევოლიუციური სოციალიზმის ბრძოლის მეთოდია. ასეთი მეთოდი ანარეკლია ჩვენი იდეოლოგიური კონცეპციისა.

ამდენათვე ჩვენ ყველასთან ვართ ვინც აქტიური მებრძოლია კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ ეს არის ერთად ერთი გზა როგორც სოციალი უკუღმართობის უარყოფისა, ისე ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციისა.

დღესაც ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთით დაწყებული მოძრაობა „ანარქიაა“ „ბუნტია“ და სხ. ეს ვერ გაგებაა რევოლიუციის ბუნების.

საფრანგეთის რევოლიუცია ტანჯვითა და ვაებით იშვა, ტკივილებითა და იარებით დაისერა საზოგადოებრივი ცხოვრება, დღესაც ანალოგიური მოვლენაა. რევოლიუციურ მოძრაობას თანხლებია მრავალი გასაჭირი, რომელიც ქმნის მასაში პედანტიურ ატმოსფერას. მაგრამ რევოლიუცია თავის თავად არსებითად პროგრესიულია.

მართალია ჯერ არ ყოფილა ისეთი რევოლიუცია, რომელსაც შეძლებოდა სავსებით თავის იდეათა რეალიზაცია, მაგრამ არ ყოფილა არც ასეთი რევოლიუცია, რომელსაც უდიდესი საფუძველი არ შეექმნა კულტურული წინსვლისათვის.

„რევოლიუციის „ბუნტად“ და „ანარქიათ“ და სხვა ეს არსებითად მეტერნიხული გაგებაა რევოლიუციისა.

დღეს სრულიად სამართლიანად ბევრი არ არის კმაყოფილი ეროვნული პოლიტიკით. ეს ადვილი გასაგებიცაა. ერთი მხრით უაღრესობამდე განვითარებული ეროვნული გრძნობა და მეორე მხრით ის დეფექტები ხელისუფალთა პოლიტიკისა, რომელიც განსაკუთრებით რელიეფიურად სჩანს ტფილისში ხელს უწყობს პატრიოტულ ელემენტების უკმაყოფილობას; მაგრამ ჩვენ ვერასოდეს ჩვენი პარტიული ემიციებით ვერ მიუდგებით საქართველოს პრობლემას. აქ საჭიროა მშრალი გონება, პოლიტიკური ინტუიცია და ღრმად განაცდი ნატანჯი იდეა საქართველოს თავისუფლებისა.

დღეს ორი საზომია საქართველოს პრობლემის გადაჭრისათვის. პირველია რევოლიუციის ორიენტაცია და შინაურ აღმშენებლობის პროცესში ჩაბმა, მეორეა რეაქციის ორიენტაცია და ინტერვენციის ცდა. პირველი გზაა ჩვენი გზა—მეორე გზა—მემარჯვენე წრეების გზაა.

ჩვენ არა მარტო შეუძლებლად მიგვაჩნია დღეს საქართველოს მიწა-წყალზე მენშევიზმის რესტავრაცია ინტერვენციის საშუალებით, არამედ იგი მიგვაჩნია დამღუპველად ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა. ჩვენ არ გვწამს იმპერიალისტური ქვეყნების „დამოუკიდებლობა“ არა მარტო ზერელე ფრაზეოლოგიის ზღვავლენით, არამედ იმ ინანტური შინაგანი თვისებით, რომელიც სპეციფიური ნიშანია კაპიტალიზმის. ეროვნული პრობლემის პოლიტიკური მხარის გარჩევისას ჩვენ მოვიხმართ ისტორიას, პოლიტიკას, სოციალურ მეცნიერებათა დანასკვნებს და ყოველივე ეს გვეუბნება, რომ კაპიტალიზმით მიდივართ საქართველოს მონობისაკენ და არა საქართველოს თავისუფლებისაკენ.

ჩვენ ცოცხალი პროცესი გვაქვს თვალწინ, რომელიც გულ შემზარავ სურათებს გვიშლის ერთა მონობისას კაპიტალისტური კულტურის მიერ. აიღეთ ვენის კონგრესი საილიუსტრაციოდ.

რას ნახავთ იქ? პოლიტიკური წონასწორობის სისტემის თვალსაზრისით ყოველ გვარი უფლებრიობის გათელვას. ერთი კალმის მოსმით ემხობა სამთავროები გერმანეთისა პრუსიის გაძლიერებისათვის. საქსონიის მეფეს განცხადებისათვისაც ნება არ აძლევენ კონგრესზე დასწრებისას მაშინ, როდესაც ლეგიტიმიზმის ნიადაგზე სდგას კონგრესი. ტალეირანი, ეს მხურვალე დამცველი ლეგიტიმიზმისა სდუმს, ყურად არ იღებენ დედოფალი მუნსტენგერგის ვედრებას. საქსონიის ხალხს გაგონება არ სურს პრუსეთთან შეერთებისა, მაგრამ შუაზედ აპობდნენ მას და აიძულებენ მეფეს ხელი მოაწეროს ასეთ აქტს. მაგრამ რამდენი ჩამოვთვალოდ.

აიღეთ თანამედროვე ინგლისის პოლიტიკა. ბურებთან ბრძოლა, ოსტ-ინდიის კამპანიის მოქმედებანი, ინდოეთის ამბები, და სხ. და სხ.

მართალია ამერიკის რევოლიუციის შემდეგ არსებითად შეიცვალა ინგლისის კოლონიალი პოლიტიკის ხასიათი, მაგრამ ეს შეცვლის ხარისხი კოლონიათა ძლიერების პროპორციულია.

თუ ინდოეთს, სადაც 400 მილიონამდე მცხოვრებია და უკვე განვითარებული ცხოვრება, ინგლისი ლოიალურად ეპყრობა სიერა ლეონესა და სხვა პატარა კოლონიებს გუბერნატორის სამფლობელოდ აქცევს და მკვიდრ ხალხს არავითარ ანგარიშს არ უწევს. ეგვიპტეში ინგლისმა შირმა შეჰქმნა ხალხის თვალ ასახვევად და არსებითად „მრჩევლები“ გაბატონა, რომელიც ინგლისის კაბინეტის მიერ ინიშნება. ერთი სიტყვით მთელი მოსაზრებანი თეორიული ხასიათისა და კონკრეტი ფაქტები პრაქტიკისა იმას გვეუბნება, რომ საქართველოს თავისუფლება ფიქციაა ანტანტის ხელში. მართალია მან გვიცნო დე იურედ, მაგრამ ეს შედეგი იყო მხოლოდ იმისა, რომ სურდა ანატოლიის მოძრაობისა და რუსეთის რევოლიუციის შუა აეგო ერთგვარი ზღუდე. მხოლოდ ეს სტრატეგიული მოსაზრება გახდა მოტივი ჩვენი ცნობისა და სხვა არაფერი.

დღეს თავისი რესურსების მხრივაც ანტანტა გამოფიტულია. მას არ ძალუძს იარაღით, ძალით გაუსწორდეს საბჭოთა ქვეყნებს. ამიტომ იყო რომ ვერავითარი დახმარება ვერ მიაწოდა მან მის მიერ „ცნობილ“ მენშევიკურ საქართველოს. ამიტომ იყო. რომ ვაშინგტონმა ვერაფერი გადასწყვიტა, ამიტომ იყო, რომ კანნაში ისევ რუსეთისა და გერმანიის მიწვევა იქმნა გადაწყვეტილი. ყოველივე ეს იმას გვეუბნება, რომ პროცესი რევოლიუციური მოძრაობის თავისი გზით მიდის. მართალია იგი ერთი სისწრაფით არ მიდის ყოველ მომენტში. ეს შეუძლებელიც არის, რამდენათაც ჩვენ საქმე გვაქვს არა პოლიტიკურ მოძრაობასთან, არამედ სოციალურთან.

ფეოდალიზმის ლიკვიდაციის პროცესმა ათეული წლები გასტანა, რასაც შედეგად მოჰყვა არა მარტო საფრანგეთის რევოლიუცია, არამედ მთელი რიგი ომები ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში. დღესაც კაპიტალიზმის ლიკვიდაციის პროცესი დიდხნობით გასტანს. სხვა მხრივ შეუძლებელიც არის.

ბურჟუაზიულმა რევოლიუციებმა უკვე გაიარა თავის განვითარების ციკლი. ამიერიდან რევოლიუცია შესაძლებელია მხოლოდ სოციალური. სხვა გამოსავალი არ არის ეროვნება მხოლოდ სოციალურმა რევოლიუციამ უნდა იხსნას.

გინდათ არ გინდათ, მოგწონთ არ მოგწონთ ეს შეიძლება სენტიმენტალურ დღიურებში ჩასწეროს ფანტაზიორმა ახალგაზრდამ, მაგრამ ამით ისტორიის ლოღიკა არ შეჩერდება.

ვისაც სურს ახალი ქვეყნის გარიჟრაჟისათვის მომზადება, მან რევოლიუციის რიგში უნდა იგემოს ბრძოლა და მხოლოდ მის შეძლება ეროვნული თავისუფლებისადმი სამსახური.

ბევრნი დღეს რაღაც „ეროვნულ პლატფორმას“ აყენებენ. „ეროვნული ფრონტის“ გაერთიანებას ოცნებობენ. ასეთი პოლიტიკური ფილოსოფია ჩვენ არ გვესმის. ის მხოლოდ ბალილების საოცნებოდ გამოდგება.

ჩვენ ეროვნულ პარტიას წარმოვადგენთ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ერის წიაღში არსებული ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერი გულში ჩავიკრათ.

ჩვენი თვალსაზრისი ქართველი მშრომელის თვალსაზრისია.

სოციალი ცხოვრების წინსვლას ვერ შევაჩერებთ. შეიძლება ვისიმე ნდობა დავიმსახუროთ და ხალხის მიერ დაფნის გვირგვინი მივიღოთ, მაგრამ ობიექტიურად ამავე ხალხის საზარალოთ ვიმოქმედებთ. მის ეროვნულ ინტერესებს სამარეს დაუთხრით.

ჩვენ არ გვაშინებს [illegible] საყვედური, ჩვენ შეჩვეული ვართ ქართველი ხალხისათვის ბრძოლას თვით ამავე ხალხთან. საეროვნო იდეალისათვის გასულში გვაწამეს, მაგრამ ავიტანეთ. დღესაც ბევრი უხეშად გვახსენებს, მაგრამ ამასაც ავიტანთ, რადგან ჩვენი გზა ერთად ერთი გზაა. რომლითაც აუცილებლად გაიმარჯვებს ქართველი ხალხი.

წინეთაც ჩვენთან გმირებს შეეძლოთ ყოფნა. დღესაც მით უფრო ჩვენთან ყოფნა გმირთა ხვედრია. პატარა ნების ყოფა ვერ უძლებს პედანტურ ატმოსფერას და მით უკეთესი, რადგან პოლიტიკურ ბრძოლაში ტირილი და ლოცვა კი არ გამოგვადგება, არამედ გაკაჟებული ნების ყოფა და მიზნისაკენ პირ და პირ სვლა.

დღეს გენუას შესახებ ბევრი ოცნებობს, როგორც ოცნებობდა ვაშინგტონისა და კანის შესახებ. ჩვენ წინ და წინ შევაფასეთ ეს მოვლენა ჩვენი პროგნოზი სუსტად გამართლდა. გენუას პროგნოზიც ასევე დამთავრდება.

გონს მოვიდეთ და ერს ვემსახუროთ, საოცნებო ქიმერები ვერას გვიშველის ჩვენი პოლიტიკა ჩვენვე უნდა გავასწოროთ თორემ ცხოვრება ცუდად გაგვასწორებს.

სერ. ამაღლობელი.

ჟურნალ-გაზეთიდან

გერმანიის ვალების საკითხის გამო

„დეილი ქრონიკლი“ და „მანჩესტერ გარდიანი“ მარტის ოციდან გადმოგვცემს ფრიად საყურადღებო ცნობას, შესახებ ინგლისის პროექტისა რეპარაციულ საკითხის მოსაწესრიგებლად. როგორც გამოირკვა ბრიტანეთის დელეგატებმა მოკავშირე ფინანსთა მინისტრების კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე პარიზში შეიტანეს სრულიად ახალი წინადადება, რომლის თანხმად ევროპიელ სახელმწიფოების მიერ ამერიკის ვალების გადახდა უნდა დაუკავშირდეს გერმანიის რეპარაციის საკითხს. გერმანიას ეფალება მოკავშირე-

ეგნატე ნინოშვილი

(შემდეგი*)

*) იხ. „ტრიბუნა“ № 182, 184.

მე და ეგნატეს ურთიერთშორის ბარათებითაც გვქონდა მიწერ-მოწერა და ორი კვირაც არ გაიარდა ისე, რომ არ მენახა ზესტაფონში. მე მხოლოთ ერთი ბარათი შემრჩენია, რომელსაც აქვე წარვუდგენ მკითხველს, დანარჩენი დამკარგვია ისე, როგორც დამეკარგა წერილები ილიასი, აკაკისა, გიორგი წერეთლისა, ნიკო ნიკოლაძისა, ნიკო ხიზანაშვილისა, ვანო ჯაბადარისა, გიორგი მაიაშვილისა, ნიკო მარისა, ნიკო ხუდადოვისა და სხვათა, რომელთაც კი ჩემი ან მიწერ-მოწერა ქონებიათ ქართული ლიტერატურის შესახებ. ეს ეგნატეს პირველი წერილია.

26 მაისს. დ. ზესტაფონი.

პატივცემულო, რომანოზ!

აქ მოვიდა თქვენი გამოგზავნილი კაცი და თქვა, რო თქვენსას რომანოზის კალოშია დარჩენილი და უნდა წაიღოო. მე როგორც ვიცი, თქვენი კალოში ვარლამ პეპინაძის ოთახში უნდა იყოს და, რადგან ვარლამი ახლა სახლში არ არის, ამიტომ ყოვლად შეუძლებელი შეიქნა გამოგზავნა. ვარლამი რო სტანციაზე იყვეს, კაცს გავგზავნიდი, მარა ის ყოველთვის მატარებლით მიდის ძირულაში თავის ძმასთან სადილზე. ასე ამგვარად, თქვენი კალოში ახლა ვეღარ იგზავნება.

ხვალ დილას, თუ გამოგზავნით ამ კაცს (ამბობს, ახლო ვართ ზესტაფონზეო), კი შეიძლება ვარლამი ნახოს და კალოშიც მოიტანოს.

რომანოზ! ნუ დაიზარებ, როცა დრო დაგირჩეს თავისუფალი, გადმოიარე აქეთ. თუ საქმით ვერაფერს გავაკეთებთ, ლაპარაკით მაინც გული ვაჯეროთ ყოველი საქმის შესახებ.

თქვენი ერთგული

ეგნატე ინგოროყვა.

1890 წ. ზაფხულის განმავლობაში ზესტაფონის უკეთესი, ნაკითხი ყმაწვილკაცობის შეკრებული წერტილი ეგნატეს ბინა იყო, ნიკოლოზ დოლაბერიძის კანტორაში. ეს ახალ-გაზდობა აღტაცებული გულისშეფრინვით ახალი ცხოვრების იდეალების გახორციელებას შეხაროდა, ხედავდა ქართველი ერის დამშრალი ცხოვრების წყაროს და გულზე სკდებოდა, რო ვერაფერს ახერხებდა. მისთვის უნდა მიეცათ ახალი გზა ხსნისა, ახალი ნიადაგი, სრულიათ ახალი პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც უკვდავების სულს ჩაბერავდა იმას და საქართველოსაც იხსნიდა...

შემოდგომის მიწურულზე, ნოემბრის შუა რიცხვებში, მუშაობიდან დავბრუნდით ამაშუკეთისა და უბისის რაიონიდან ზესტაფონში: მე, კარლო ჩხეიძე, ვასილ წერეთელი, აგრონომი პ. გ. კანდელაკოვი, გიორგი მაჭავარიანი, კალინიკე ჩხეიძე და სხვებიც. მოვიდნენ ჩვენი ამხანაგები საჩხერიდან, ჩხარიდან ჩხერიმელის პირებიდანაც. გაცოცხლდა ზესტაფონი. იმ წელიწადს უხვი ღვინის მოსავალი იყო. გაიმართა წვეულობა. ფსონი გამართა ივ. ზ. ანდრონიკაშვილმა, ვლ. ალ. სტაროსელსკიმ, იოსებ ალ. გუნცაძემ, კარლო ჩხეიძემ, სამსონ ელიაშვილმა, ეგნატემაც ხომ, რასაკვირველია, დაგვპატიჟა.

არ დამავიწყდება ეს შემოდგომა. ეგნატე ისე ძლიერათ გაიტაცა საფილოქსერო საქმეებში მუშაობამ, რო გადაჭრით მითხრა: მეც პარტიაში უნდა შევიდეო.

მე, სწორედ მოგახსენოთ, ეს გარემოება გამიხარდა. კაცი მწერალია, მართალია, საზღვარგარეთიც მოვლილი აქვს, მარა საჭიროა გაიცნოს თვალ და თვალ უშუალო ნახვით მთელი ჩვენი ქვეყნის კუთხეები, რომელიც ბევრ საინტერესო, მდიდარ მასალას მიცემდა მის ნიჭს და ფანტაზიას.

მწერალი, ჩემის აზრით, ბედნიერია და მის ცოცხალ ტალანტს მაშინ უფრო უორკეცდება მადლი, როცა იმას თვალდა თვალ უნახავს თვისი მშობლიური ქვეყნის ყოველი კუთხე, ყოველი ხეობა, დაახლოვებით გაეცნობია მის მრავალნაირ, სხვა და სხვა ფერ ცხოვრებას, კილოკავებს, ზნე-ჩვეულებას და ხასიათს. თუ იმისი ტალანტი ამისი ღირსი გახდა, მისი ტალანტი სრულიათ ამოსწურავს თვისი ქვეყნის ჭირსა და ლხინს, ბედნიერებას და უბედურებას... და როცა ამ ზომაზე მისული და ასე შეიარაღებული მწერლის ტალანტი, გძნობა-გონების განძი რასმე შექმნის, იგი, მიუცილებლათ, ლიტერატურაშიაც შეიტანს კრიტიკისთვის დიდათ საგძნობელ და მიმზიდველ ნაწარმოებს, რომელსაც შეეძლება მისი სულიერი არსების აღძვრა, დაინტერესება და გატაცებაც. ამასთან, თუ მწერალმა ქაღალდზე სრულიათ დასწერა ყველა ნახული და გაგონილი განცდანი და სტამბის საშუალებით მკითხველს გადასცა ყოველივე ის, რაც განიცადა მან თვის ხანგრძლივ სიცოცხლეში, მაშინ, რა თქმა უნდა იმაზე ხსოვნა უფრო სამარადისო იქნება, უფრო მჭევრ-მეტყველიც, უფრო ძლიერი და ღრმა, ვიდრე ის მახვილ-გონიერება და ცეცხლი, რაც ავტორის ნაწერებშია შეტანილი.

გარდა ამისა, ეგნატეს აგებულობა ფიზიკურათ სუსტი მეჩვენა და გულით მსურდა ეს ახალგაზდას, ნაზი ორგანიზმი გაშლილიყო ჩვენი მდიდარი ქვეყნის ბუნების წიაღში და ახალი ენერგია, ახალი სიცოცხლე შეეძინა.

და გამიხარდა, როცა აგრონომი სტ. ნ. ტიმოფეევი დაპირდა მას გაზაფხულზე პარტიაში მიღებას.

1891 წ., აპრილის თვეში, ეგნატე ნინოშვილი დაღესტანში იყო სამუშაოთ გასული, საცა იმ დროს ტიმოფეევის პარტია მუშაობდა. იქიდან იმ ზაფხულში მე მხოლოთ ერთი წერილი მივიღე ეგნატესგან. საინტერესო წერილს იწერებოდა. მარა მე იგი დამკარგვია და ვერ ვიპოვე. დიდი კმაყოფილი იყო იქ მუშაობით, სტუდენტებთან ცხოვრებით და ხალხთან ასე დაახლოვებით მისვლითაც. აღწერდა დაღისტნის ველ-მინდვრების სიმდიდრეს და ლეკების ვაჟკაცობას და აფსკვნიდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ზღაპარი თუ მართლია, რომ ქართლოსი და ლეკოსი ძმები იყვნენ, ისიც მართალია, რო რაინდობითა და ხასიათის სიმტკიცით ლეკები ქართველებს ძალიან ენათესავებიანო..

შემოდგომის გასულს მე და ეგნატე ერთი მეორეს თფილისში შევხვდით. წამოსუქებულიყო და სოფლის ცოცხალი ფერი დასტყობოდა. მარა ამხანაგ სტუდენტებს კი ემდურებოდა: გლახა წრეში მოვხვდიო. რუსები და სომხის სტუდენტობა იყო. ეს უკანასკნელი მაინც ერთობ დაწვრილმანებული და ჩიჩია ხალხი იყო. მიკვირს, იმათთან ცხოვრება როგორ ავიტანეო. მარა, ალბათ, გულმა გამიძლო, რა კი იმათთან ცხოვრება დროებითი, წარმავალი იყოო.

ზევითაც მოგახსენეთ, რო საქართველოში სტამბიდან იმ დროს ერთად ერთი დღიური გაზეთი „ივერია“ გამოდიოდა და იმ წელიწადს მხოლოდ ერთი კორესპონდენცია დასტამბა დაღესტნიდან ეგნატემ. მეტი არაფერი დაუწერია მას იმ წელიწადს.

1892 წელსაც ეგნატე საფილოქსერო კომიტეტის სამუშაოზე იყო გასული, ისევ ტიმოფეევის პარტიაში. ამ წლის განმავლობაში გაზეთ „ივერიაში“ მან დასტამბა თვისი მოთხრობანი: „პალიასტომის ტბა“, „უცნაური სენი“ და „არშიყნი“. თუ სახსოვრობა არა მღალატობს, ეგნატეს მოთხრობაც „სიმონა“ ამავე წლის „ივერიაში“ დაისტამბა.

ამ მოთხრობებით ეგნატე ნინოშვილმა, როგორც სიტყვა-კაზმული ნაწარმოებთა ავტორმა, ერთბაშად ყურადღება მიიქცია თვისი მახვილი, ცოცხალი იუმორითა და ენა წყლიანობით, თვისი უტყუარი, რეალისტური მიმართულებით და ამიერიდან კრიტიკამ მას დაუწყო ყურება, როგორც დიდათ საიმედო მწერალს, რომელსაც შეუძლია გრძნობა-გონების და გულის გაღვიძება და აღელვება, კაცობრიობის საუკეთესო ამაღლებული გრძნობითა და ფიქრთა აღძვრა და რომელსაც აგრეთვე დიდათ ეხერხებოდა უშვენიერესი გურიის არემარეზე გაშლილი ცხოვრება თვისი ნაირ-ნაირი კონტრასტი ფერადებით ხელოვნურათ დაეხატა და ამით გაემდიდრებია ქართული ლიტერატურა.

1892 წლიდან ეგნატემ ქართულ ლიტერატურას გული დაუდვა, დაუწვრილმანდა, იგრძნო კიდეც, რო მას საიმისო ნიჭი ქონდა მიმადლებული და ის გარემოება, რო თფილისში 1893 წელს ყოველ კვირული ჟურნალი „კვალი“ გამოვიდა სტამბიდან, ქართული ლიტერატურის სამსახური ვალად გაიხადა და მთელი თვისი გონებითი და მორალური ძალა მთლად მას შესწირა და, ამნაირათ, ქართულმა მწერლობამ სხვერპლებითაც მოითხოვა მისი არსება.

აკაკიმ, გიორგი წერეთელმა და ვანო მაჩაბელმა ჟურნალი „კვალის“ კრიტიკული განყოფილება მე მომანდო და პირველათ მის ფურცლებზე მარქსისტულ თვალსაზრისით გავაშუქე „ქართული ლიტერატურის მდგომარეობა“ *).

ჟურნალი „კვალის“ ირგვლივ ახალი, ცოცხალი ლიტერატორები და მწერლები მოგროვდა. ამ დროს, თფილისში ვიყავი და ერთ მაისის დღის საღამოს ჟამს, ქართული სასტუმროს „პურ-ღვინოს“ ერთ ოთახში მიხა ცხაკაიამ ეგნატე მომიყვანა.

ეგნატემ მითხრა, რო მას სურს ჩემთან „კვალში“ გადმოსვლა და „ივერიის“ რედაქციის მიტოვება. ეგნატემ და მიხამ ისიც მითხრეს, რომ ეგნატეს ჰონორარი რიგიანათ არ ეძლეოდა და ამისთვისაც ივერიელების მადლიერი არ იყო ჩვენი მწერალი.

მიხა ცხაკაია იმ დროს „ივერიის“ რედაქციაში მუშაობდა და დაწვრილებითაც გამაცნო მან რედაქციის შუხუთული ჰაერი.

---

*) იხ. „ქართული პრესა“, ნოე ჟორდანიასი.

დან 5 ნახ. მილიარდი გირვან- ; საერთო ჯამი მოკავშირეთა საერთოერთო ვალებისა და მათი სესხი ამერიკის მიმართ შეადგენს 3 ერთმეოთხ. მილიარდ გირვანქას. რომ გაუქმდეს ერთო სესხი და შემცირდეს გერმანი- რეპარაციული ვალდებულება ამგვა- ჯამით, მაშინ გერმანია, როგორც ამტკიცებს „დეილი ქრონიკლი" მი- ებს მხოლოდ 2 და ერთი მეოთხ. მილიარდი გირვანქის გარდა ე. ი. ისე- ჯამის, რომელიც ადვილად მოწეს- იგდება საერთაშორისო სესხის გამო- ებით ინგლისში და ამერიკაში. კომე- ტარიას უკეთებს რა ამ პროექტს, გა- ეთი სწერს: ასეთი შედეგის მისაღწე- დ ჩვენ შეგვეძლო დავეთანხმებულიყა- თ მოკავშირეთა მიერ თავის პრეტენ- ების უარის ყოფას, რომელიც შეად- ენს სრულად 1 მილიარდ გირვანქას. აგრამ საქმე იმაშია, რომ ამერიკა უარ- ფს თავის მოთხოვნილებებს? თუ ომ ამერიკა არ დასთანხმდება უარ- ოფას, მაშინ ინგლისი, რომელიც მზად რი შემცირიოს ჯამი თავის რეპარა- ულ პრეტენზიებისა გერმანიისადმი, ერიკისადმი ჩვენი ვალების ჯამამდე ოითხოვს გერმანიიდან ამ ვალების გა- ხდას. და თუ გერმანია ვერ შეასრუ- ებს ამ მოთხოვნილებას ჩვენ უნდა ვსთხოვოთ ჩვენს მოკავშირეებს გა- ხდა თანახმად მათი ვალდებულობისა ომელიც ჩვენ ზემოაღნიშნულ პირო- ში გვსურდა გაგვეუქმებინა.

ამგვარადვე მოითხოვენ საფრანგეთს მცირება გერმანიის რეპარაციის ან- რიშისა მისი ვალების ჯამამდე, რომ- ლიც ერგება ჩვენ და ამერიკას. მაგ- ამ იმ შემთხვევაში, თუ რომ ამერიკა ჟინებით მოითხოვს ვალების ანგაზის ნ თუ გერმანია არ გადაიხდის ამ რამდ შემცირებულ თავის ვალებს, ით მისი ვალდებულება ანაზღაურები- ავტომატიურად კვლავ აღსდგება ელი თავისი სისრულით. ყოველ შე- ხვევაში საჭიროა აღინიშნოს, რომ გლისი თანახმაა გააუქმოს საფრანგე- ის ნაანგარიში ჯამი მხოლოდ იმ პი- ობით რომ მოხდეს რეინის ოლქის კუპაცია ვერსალის ხელშეკრულების ერ დადგენილ ვადაში. რუსეთი რასა- ირველია გამორიცხულია ამ კომბინა- იიდან.

„დეილი ქრონიკლი" იმედს გამოს- ქვამს, რომ მიუხედავად ამერიკის უა- ისა გერმანიის ვალდებულების მილე- ბზე, ნაცვლად მოკავშირეთა ვალები- , ის ადრე თუ გვიან იცნობს მჭიდ- ო კავშირს ვალის საკითხისას და რე- რაციულ საკითხებისა შორის.

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია

მოსკოვი. 6 აპრილი. ვარშავიდან ბერლინის თარიღით იტყობინებიან: დღეს ბერლინში გაიხსნა პირველი სხდომა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისა. მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლების გარდა დელეგატების რიცხვშია, კლარა ცეტკინა, ფროსარი, რომერი: ლონგე, ადლერი, კრისპინი, ფორი. სხდომის დარბაზში აგრეთვე იმყოფებიან: ჩერნოვი, მარტოვი, აბრამოვიჩი, წერეთელი. კონგრესის თავმჯდომარ. ამოირჩიეს: კლარა ცეტკინა, შოუ და ადლერი. პირველი სხდომა ჩატარდა იმ რწმენით, რომ განახორციელონ მთლიანი მუშათა ფრონტი და უარი სთქვან ერთმანეთის ბრალდებებზე.

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის სხდომა გაიხსნა ადლერის სიტყვით, რომელმაც განაცხადა, რომ კონფერენციის მიზანია სხვა და სხვა ინტერნაციონალების არა ორგანიზაციული გაერთიანება არამედ საერთო ლოზუნგების და მეთოდების, შემუშავება საერთო გამოსვლებისათვის ℓ ერთად-ერთი პირობა კონგრესზე საერთაშორისო მუშების დასასწრებლად, მდგომარეობდა იმაში, რომ კონგრესის მონაწილენი ყოფილიყვნენ კლასიკურ ბრძოლის თვალსაზრისის მატარებელნი და მოსურნენი შექმნათ მთლიანი პროლეტარული ფრონტი, კლარა ცეტკინამ კომუნისტური ინტერნაციონალის დელეგაციის სახელით წაიკითხა განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია მიზეზები მუშათა კლასში არსებულ განხეთქილებისა და, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთმა ჯგუფებმა გამონახეს საერთო ენა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან. პროლეტარიატის რიგებში არ მოხდება გაერთიანება მანამდის, სანამ იგი არ გასწყვეტს ყოველგვარ კავშირს პოლიტიკურ კოალიციასთან და კაპიტალთან. მიუხედავათ ამის არსებული მომენტი დაჟინებით მოითხოვს გაერთიანებას მუშათა კლასისაგან თავდაცვითი ბრძოლის საწარმოებლად. კომუნისტური ინტერნაციონალი მოითხოვს ამ ბრძოლაში ჩაბმულ იქნეს წარმომადგენლები პროფესიონალურ კავშირებისა, ანარქო-სინდიკალისტებისა და უფრო პატარა მუშათა პარტიებისა. მიუხედავად იმ დიდი სხვა და სხვაობისა, რომელიც არსებობს სინდიკალისტურ და რეფორმისტულ პარტიებსა და კომუნისტურ ინტერნაციონალის შორის, ეს უკანასკნელი მაინც სთვლის შეუცილებელ საჭიროთ ამ ჟამ დ მოხდეს შეთანხმება მათთანაც კომუნისტური ინტერნაციონალი იძლევა შემდეგ დღიურ წესრიგს: 1) თავდაცვა კაპიტალის იერიშების წინაადმდეგ. 2) ბრძოლა რეაქციასთან. 3) მომზადება ბრძოლისა კაპიტალისტური ახალი ომების წინაღმდეგ. 4) დახმარება რუსეთის აღდგენის საქმეში. 5) ვერსალის ხელშეკრულება და 6) აოხრებულ ოლქების აღდგენა. კონგრესის ნაშუადღევის სხდომა გაიხსნა ვანდერველდის მეომარი სიტყვით, რომელმაც მე-2 ინტერნაციონალის სახელით შემდეგი მოთხოვნილებები წამოაყენა: 1. პირდაპირ განაცხადონ კომუნისტებმა, რომ ისინი მოვიდნენ კონფერენციაზე ყოველგვარი ჩუმი განზრახვისა, განხეთქილების მოხდენისა და ცილისწამების თესვის გარეშე. 2. დაუშვან საქართველოსა და სომხეთის თავისუფალი დელეგაციები. 3. დაცულ იქმნის დაჭერილ რუსის სოციალისტების სასამართლოს უფლებები.

ამით გამხნევებული გამოვიდა ფორი, რომლის სიტყვაც ბევრად უფრო მკაცრი იყო ვანდერველდეს სიტყვაზე.

რადეკმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ მეორე ინტერნაციონალის მიერ წამოყენებული პირობები სავსებით უნდა იქნენ უარყოფილნი.

ბორდო. 5 მარტი. ბერლინიდან მოსულ ცნობებით, სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე, რადეკმა გაილაშქრა ვანდერველდეს წინააღმდეგ, რომელსაც მან უწოდა „მურდალი" და რომელიც ღირსი არ არის სარგებლობდეს მუშების ნდობით.

—

მოსკოვი. 8 აპრილი. სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე გამოვიდა ამხ. რადეკი, რომელმაც მიიპყრო ყურადღება მთელი აუდიტორიის, მან განაცხადა, რომ ვანდერველდემ დაივიწყა ის სისხლის ზღვა დაუსრულებელი ტანჯვები, რომლის პასუხისმგებლობაც მას აწევს თავზე, „ჩვენ მზათა ვართ, ამბობს რადეკი, დავივიწყოთ დროებით წარსული. ჩვენ შევიკრიბენით აქ იმისათვის კი არა, რომ ვიბრძოლოთ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, არამედ ლუკმა პურისათვის. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით შევქმნათ კონფერენცია მოქმედების და არა ლაპარაკის.

— ბერლინიდან 3 აპრილის თარიღით იტყობინებიან: სამი ინტერნაციონალის ბედი ჰაერშია ჩამოკიდებული. დღეისათვის დანიშნული სხდომა მე-2 ინტერნაციონალის დელეგაციის მოთხოვნილების თანახმად გადაიდვა 6 ივლისისათვის.

— გაზეთი „როტე-ფანე" კიცხავს რა ვანდერველდესი და პოლ ფორის გამოსვლებს, რომელთაც საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ გალაშქრების მაგიერად, გაილაშქრეს რუსეთის წინააღმდეგ, ეკითხება ლონდონისა და ვენის ინტერნაციონალებს: „გსურთ თუ არა თქვენ, ჩვენთან ერთად იბრძოლოთ კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ლუკმა-პურისათვის? ვინც ხელს უშლის პროლეტარიატის გაერთიანებას, სჩადის ამ მხრივ დანაშაულს მუშათა კლასის წინააღმდეგ".

— 3 ნნოვერიდან 3 აპრილის თარიღით იუწყებიან: 3 აპრილისათვის დანიშნული სხდომა სამი ინტერნაციონალის კონფერენციისა, მე-2 ინტერნაციონალის დელეგაციის მოთხოვნილების თანახმად გადადებულ იქნა. მე-2 ინტერნაციონალი ყოველ ღონეს ხმარობს შექმნას საზოგადოებრივ აზრის ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, თუ კონფერენცია ჩაიშალა, ბრალი ამ საქმეში დედოს კომუნისტებს. გაზეთი „ფორვერტსი" ლაპარაკობს „რადეკის პროვოკაციის" შესახებ და პირდაპირობით ბრალს სდებს ვენის ინტერნაციონალს. გაზეთი „ფრეიხეიტი" გვერდს უხვევს პირდაპირ თავისი აზრის გამოთქმას და ითვალისწინებს რა კონფერენციის უშედეგობას, ამბობს რომ პირველი ნაბიჯი მაინც გადადგმულია, რადგან სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს.

— ბერლინიდან 6 აპრილის თარიღით იუწყებიან: ერთი დღით სხდომების შეწყვეტის შემდეგ სამი ინტერნაციონალის საერთაშორისო კონფერენციის კრებები კვლავ განახლდა. საშიშროება კონფერენციის ჩაშლისა თითქმის გაქარწყლებულია. მაკდონალდმა წარმოსთქვა თავდაჭერილი სიტყვა, რომელშიაც არ ისმოდა ბრალდებები ისე, როგორც ვანდერველდეს სიტყვაში. თუ შეთანხმება მოხერხდა, მაკდონალდის აზრით, ამ ზაფხულში შესაძლებელი იქნება საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწვევა.

მოსკოვი. 8 აპრილი. ბერლინში გახსნილ სამი ინტერნაციონალების თათბირზე ირჩევა საკითხი მუშათა ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. გაზ. „პრავდა" ამ საკითხის შესახებ სწერს:

„იმ დროს, როდესაც საერთაშორისო კაპიტალის მედგარი ფრონტით უტევს მუშათა კლასს. „მეფის მინისტრი" ვანდერველდე, თავის მეგობარ პოლ-ფორთან ერთად, რომელიც საფრანგეთის იმ სოციალისტური პარტიის წარმომადგენელია, რომელსაც ძლივს ღა შერჩენია რამოდენიმე ათასი წევრი თავის რიგებში, სცდილობს მოახდინოს ბერლინის თათბირზე დებოში. ვანდერველდემ მოითხოვა, რომ, პირველი, კომუნისტებს არ დაერქმიათ კატისათვის „კატა", არ ემხილებიათ ვანდერველდე და მისი კომპანია, მეორე, რომ მათ ეცნოთ ქართველი მენშევიკები, რომლებიც ატუზულან პუანკარეს კარებთან და სომხების დაშნაკების, რომლებიც ყოველ გზაჯვარედინზე ყველას წინაშე ქედს იხრიან—ეი მათი დელეგატები და მესამე, უარი განეცხადებინათ პროლეტარიატის მეთაურების მკვლელებზე პროლეტარული სამართალი მოეხდინათ. პოლ-ფორი განსაკუთრებით იცავდა ვანდერველდეს ამ უკანასკნელ მოთხოვნილებაში, თითქოს წინათ გრძნობდა, რომ მოხდებოდა საფრანგეთის პროლეტარული რევოლუციის სამსჯავროს ქვეშ. მთელი ეს პოლიტიკა კაპიტალის სამსახურისა, რომელიც მიმართულია ლოიდ-ჯორჯის ზნეობრივი ფიზიონომიის გათეთრებისაკენ, გამოაშკარავებული იქნება მთელი ქვეყნის პროლეტარული მასების წინაშე.

კლარა ცეტკინამ სავსებით სამართლიანად განაცხადა, რომ მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის უპირველეს პირობათ უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიის კოალიციასთან შეთანხმებაზე უარის განცხადება. ის პირდაპირ თვალში სცემს და არა წარბში მუშათა კლასთან ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ—ასეთია მთლიანი ფრონტის პაროლი. დიდ, სცადონ ჩვენმა მტრებმა მის წინააღმდეგ გამოხვლა".

გენუას კონფერენციის გარშემო

შეთანხმების გზებისკენ.

მოსკოვი. 8 აპრილი. „იზვესტია" სწერს: გერმანიასთან შეთანხმება არ ნიშნავს საბჭოთა მთავრობის საბოლოო ცნობას, მაგრამ იგი მომასწავებელია პირველი გადამწყვეტი ნაბიჯისა ამ გზაზე. საბჭოთა რუსეთი გენუას კონფერენციაზე გამოდის არა როგორც მოწყვეტილი სახელმწიფო. გვერდით ჰყავს მთელი წყება სახელმწიფოების, რომელთა ინტერესი მათ საბჭოთა რუსეთთან ერთად გამოსვლას. გადამწყვეტით რუსეთის წინააღმდეგ—გამოდის მხოლოდ ერთი ბურჟუაზიული საფრანგეთი. მაგრამ ეხლა რუსეთი კი არა—თვით საფრანგეთი იქნება იზოლიაციაქმნილი თუ იგი დარჩება თავის შეურიგებელ პოზიციაზე.

გაზ. „პრავდა სწერს: ბალტიის სახელმწიფოებთან და გერმანიასთან წინასწარი შეთანხმება ნათლად ღაღადებს რომ გენუა—არ არის ერთად-ერთი გზა, რომელიც რუსეთს აერთებდეს ევროპის ქვეყნებთან. იმიტომ კი არ შევდივართ ევროპასთან ურთიერთობაში, რომ არსებობს გენუა; გენუა არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპა შემოვიდა და არც შეეძლო რომ არ შემოსულიყო ჩვენთან ურთიერთობაში, ურომლისოდ შექმნილ ქაოსიდან გამოსვლა შეუძლებელია".

ბორდო, 3 აპრილი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე პუანკარემ თავის სიტყვაში, სხვათა შორის სთქვა: მიუხედავად ყველა იმ მძიმე მომენტისა, რომელიც არსებობს დღეს, საფრანგეთი ყოველივე ძალას იხმარს, რომ გენუას კონფერენციის მუშაობამ სათანადო შედეგები გამოიღოს.

პარიზი, 6 აპრილი. „ჰელ-მელ გაზეთის" ცნობით, ლლოიდ ჯორჯი გენუასკენ გამგზავრების დროს, ჩავა პარიზში, სადაც პუანკარესთან ექნება თათბირი.

გენუას დელეგაციის შემადგენლობა

რომი. 6 აპრილი, იტალიის პრესის ცნობით, გენუას კონფერენციაზე ცალკე სახელმწიფოთა დელეგატების რიცხვი ასეთია: იტალიის დელეგაცია შესდგება 480 კაცისაგან, ინგლისის და გერმანიის 130 თვითეულისაგან, საფრანგეთი და რუსეთის, თითოეულისაგან 100 კაცი, იაპონიის 50 კ., საბერძნეთის 25 კ., ჩეხოსლოვაკიის 30 კაცისაგან, ბელგიის 17 კ., სამხრეთ სლავიის 30 კაცისაგან პოლონეთის 50 კ., რუმინიის 12, ავსტრიის, ლიტლიანდიის, ლიტვის. და ლიუქსენბურგის, თვითეულის, 4 კაცისაგან.

ლლოიდ ჯორჯი—გენუასაკენ.

ბორდო. 6 აპრილი. ლლოიდ ჯორჯი, ლორდ კერზონის და რობერტ ჰორნის თანხლებით გენუაში მიემგზავრება 7 აპრილს. ამავე დღეს გენუაში მიემგზავრებიან ზოგიერთი ექსპერტებიც.

უცხოეთი

თემთა პალატაში

ნაუენი. 5 აპრილი, თემთა [illegible] მოისმინა ლოიდ-ჯორჯის განცხადება გენუას კონფერენციის შესახებ. ინგლისის პრემიერმა განაცხადა, რომ გენუას კონფერენციის მიზანსა და ინგლისის მოვალეობას შადგენს: 1) ევროპაში ზავის საბოლოოდ აღდგენა, 2) განხილვა საერთაშორისო ეკონომიური პრობლემისა, 3) უმუშევრობასთან ბრძოლის გეგმები განხილულ უნდა იქმნეს გერმანიის, ავსტრიის, ჰუნგრეთის, რუსეთის და ნეიტრალური სახელმწიფოების უახლოესი მონაწილეობით. საზავო ხელშეკრულებისა და საკონტრიბუციო პრობლემის გენუას კონფერენციის მიერ განხილვა სასურველი არ არის. შეეხორა ცენტრალურ ევროპის აღდგენის საკითხს, ლლოიდ ჯორჯმა პირდაპირ განაცხადა, რომ გერმანიას არ შეუძლია სავსებით გადაიხადოს ვალები რუსეთის ეკონომიურად აღორძინების გარეშე. თავისი ეკონომიური აღორძინებისათვის რუსეთმა უნდა მიიღოს ის პირობები, რომლითაც მას მოკავშირეები მიმართავენ. ამასთან ერთად ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა, სრულებითაც არ ნიშნავს რუსეთში დღეს არსებული მთავრობის ოფიციალურ ცნობას.

ბორდო, 5 აპრილი, ლლოიდ ჯორჯი თემთა პალატაში წარმოთქმულ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გენუას კონფერენციას არ ექნება ტეხნიკური შესაძლებლობა შეუდგეს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი გადასინჯვა ჩათვლილ იქნას სასურველ მოვლენათ. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, განაცხადა ლლოიდ ჯორჯმა, რომ 1919 წლის ხელშეკრულებას არ გამოუწვევია უკმაყოფილება. მხოლოდ შემდეგ დაიწყო რაღაც ფაცური და ცხარე ლაპარაკი მის შესახებ კიდევაც, რომ მივიდენ ვერსალის ხელშეკრულების გაუქმების დასკვნამდის, მიუხედავათ ამისა, ამით სრულებითაც არ იქნებოდა გაუქმებული კონტრიბუციის საკითხი. მხოლოდ დაგვრჩებოდა კონტრიბუციის მთელი სიმძიმე გადაგვეტანა გერმანიიდან საფრანგეთზე. მაშინ იძულებული ვიქნებოდით აოხრებული საფრანგეთისათვის პასუხისმგებლობა გადაგვეტანა 60 მილიონიან გერმანიიდან, 40 მილიონიან საფრანგეთზე, რომელიც ამავე დროს ფაქტიურად არის მსხვერპლი ამ აოხრებისა. შემდეგ ლლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ რუსეთში მძლავრი და მრავალ რიცხოვანი წითელი არმიის არსებობის ფაქტი, არ აძლევს საშუალებას არც ერთ ევროპიულ მთავრობას შეამცირონ თავისი ჯარები. დასასრულ ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ზავის ძირითადი პირობები შემუშავებულია უმაღლეს საბჭოს მიერ კანაში და ეს პირობები რუსეთმა უნდა მიიღოს, რითაც აგრეთვე იგი იცნობს თავის ნაციონალურ ვალდებულებათ.

ჩვენ არა ვართ მთხოვნელები.

ნაუენი. 5 აპრილი, ჩიჩერინმა რიგაში ჟურნალისტებთან ბაასის დროს განაცხადა: ჩვენ მივემგზავრებით გენუაში არა როგორც მთხოვნელები ან და ბრალდებულები, არამედ, როგორც დებიტორები იმ წინადადებების გასაცნობად, რომელთაც ჩვენ წამოვაყენებთ. ჩვენ ფართოდ ვაღებთ კარებს თანამშრომლობისათვის და მოვითხოვთ, რომ არავითარ პირობებს არ გვიყენებდნენ.

იტალიის დეპუტატთა პალატაში

რომი. 5 აპრილი, იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა, პარლამენტის გარეშე საქმეთა, ფინანსიური და საბიუჯეტო კომისიების შეერთებულ სხდომაზე გამოაქვეყნა გენუას კონფერენციის პროგრამა და კანის დადგენილებათა ძირითადი პუნქტები. შანცერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იტალია კვლავ დაიცავს ზავის პოლიტიკას და განიარაღების მოთხოვნას.

მოითხოვენ რუსეთის ცნობას.

ბერლინი, 4 აპრილი. ვარშავიდან მოსულ ცნობებით, დიდი განცვიფრება

იმ საღამოსვე ეგნატე მე წავიყვანე „კვალის" რედაქციაში და გავაცანი გიორგი წერეთელი. ამიერიდან ეგნატე იქნა ჟურნალი „კვალის" ახლო თანამშრომელი და იმას ჩვენ, გიორგიცა და მეც დიდ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით.

1893 წ. ივლისისა პირველ რიცხვეში, ჟურნალ „კვალის" ფურცლებზე (№ 27) პირველათ სტამბიდან გამოვიდა იმისი კალმის ნაწარმოები „მონადირე". ამ ახალი მისი მოთხრობიდან აქ ამოვწერ პატარა ადგილს, რომელიც გვაცნობს მისი წერის მანერას და სტილს.

„მზე კიდევ ჩადიოდა, როცა ბეჟანმა ტყეში თავი შეყო. დაბურულ ტყეს, სადაც ამ დროს ფოთოლიც არ იძვროდა, რაღაც საიდუმლო სახით ეცდებოდა დაის სიბნელე. შეუჩვეველ ადამიანს, რა ქმა უნდა, ეს დაბურვილი ტყის მდუმარება და სიბნელე შეაშინებდა. მარა ბეჟანას რაღაც ნეტარებით აძგერდა გული, როცა ტყის ჰაერი მოხვდა პირში. მისთვის ამ დაბურვილი ტყის მდუმარებაში თვლი პოეზია იხატებოდა. მისი ლაზათიანად მოყვანილი ტანი, სხვილ-სხვილა წარბები, მრავხანე თვალები და გაშუქებული შავი წვერი რაღაც გარმონიულად ეთანხმებოდა ზემო წერილ ბუნებას. სიბნელე უფრო და უფრო წვებოდა ტყეში და საშიშარი სიბნელე ეცდებოდა არე-მარეს. მარა ბეჟანა კი ისე უშიშრად და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ, თითქო შუადღის კარგათ ნაცნობ გზა-ტკეცილზე მიდის. ის ასე ორმოცი და ხუთი წლის კაცი იყო და, რაც თავი ახსოვს, იშვიათად ყოფილა თვე, რომ სამი-ოთხი დღე მაინც სანადიროთ, ან „სამზირს" არ გაეტარებინოს ტყეში. ტყე მისთვის სატრფო იყო, სატრფო, რომლის ნახვა მით უფრო სასიამოვნო მიჯნურისათვის, რაც უფრო შორს არის სხვა ადამიანის თვალიდან, რაც უფრო მის გარშემო სიდამე მყუდროებით არის მოცული.

ტყისა და ნადირობის შესახებ ბეჟანას ბევრი ზღაპარი და მოთხრობები ქონდა გაგონილი, რომლის გავლენით ტყე მის თვალში სულიერი არსება იყო. ფანტაზიას მისას იქნება აქ შექონდა ზღაპრებში მოთხრობილი ამბების სინამდვილეზე. მართალია, ბოლო დროს ბეჟანა ძლიერ ჩივოდა ნადირის გადაშენებაზე, მეტადრე გულს უთუთქავდა ბეჟანს გარემოება. რომ იმ ტყეებში, სადაც მას ფეხი მიუწვდებოდა, ირემი სრულიათ მოისპო. ეს მოვლენა—ნადირის შემცირება და ირმის მოსპობა—ბეჟანას ფიქრით რკინის გზის ბრალი იყო. ამიტომაც, მას ძლიერ ეჯავრებოდა ეს ცივილიზაციის ნაყოფი,—რკინის გზა, რომელიც ახლო იყო ბეჟანის სატრფიალო ტყესთან.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ძლიერ აჯავრებდა ბეჟანს: ტყე, რომელიც ბატონ-ყმობის დროს თითქმის სოფლის საკუთრებას შეადგენდა, იქ ნადირობას და ხე-ტყის მოჭრას ვერავინ დაუშლიდა, რამდენიმე კაცმა—თავადაზნაურმა—დაისაკუთრა და უშიშად გარეშე პირს აღარ შეეძლო გაჭაჭანება. ამ გარემოებამ ისე გააჯავრა ბეჟანა, რომ ნადირობაზე ხელის აღებასაც კი აპირებდა. ერთ წელიწადს მიატოვა კიდეც თვისი საყვარელი ხელობა. მარა მეტი კი ვეღარ შეეძლო, ისევ მოენატრა თვისი სატრფო—ტყე. აიღო ნება ერთი თავადისგან და მიყო ხელი ხელახლავ ნადირობას. უნდა შევნიშნოთ, იმ თავადს გარდა, რომელმაც ბეჟანს ნადირობის ნება მისცა, სხვა კიდევ ბევრი პატრონი ყავდა, რომელნიც ემუქრებოდენ ბეჟანს—ნუ ნადირობ ჩვენ ტყეში, თორემ ჯარიმას გადაგახდევინებთო. ამიტომაც, ბოლო დროს ბეჟანა აღრინდულათ ხშირ-ხშირათ აღარ დადიოდა ტყეში და, როცა წავიდოდა, ცთილობდა არავის ენახა".

ხონელი.

(დასასრული იქნება)

გამოუშვევია ესტონიის, ლატვიისა და პოლონეთის დელეგატების გადაწყვეტილების საბჭოთა რუსეთის იურიდიულ ცნობის შესახებ, ურომლისოდ დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების აღდგენა შეუძლებელია.

სამოქალაქო ომი.

ლონდონი, 20 მარტი. ირლანდიის რესპუბლიკის მცირე რაზმი გადმ. შეიჭრა ულსტერის ტერიტორიაზე, სადაც გადასჭრეს ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები, დაანგრიეს რამდენიმე ხიდი და დაიპყრეს ერთი ქალაქი. ბელფასტში ბომბების სროლა გრძელდება.

ხაჭიროა პოლიციის გაძლიერება.

ნაუენი, 23 მარტი. ირლანდიაში წესრიგის აღსადგენათ მარშ ლი ვილსონი მოითხოვს პოლიციის გაძლიერებას 25,000 კაცით. ვილსონი დაბეჯითებით მოითხოვს რომ ბელფასტში იმყოფებოდეს 10 ბატალიონი რეგულიარულ ჯარისა და დანარჩენ ირლანდიის ნაწილში 8 ბატალიონი.

კომუნისტების გამარჯვება.

ბერლინი, 23 მარტი. საქარხნო საფაბრიკო საბჭოების არჩევის დროს, ხემნიცაში კომუნისტებმა გადაწყვეტილად გაიმარჯვეს, სულ საბჭოებში არჩეულია 230 კომუნისტი, 198 მეუმრავლესე სოციალისტი, 8 დამოუკიდებელი, 16 უპარტიო, და 2 ქრისტიანულ სოციალისტი. ლეიპციგ ხემნიცაში ბატონობდნენ დამოუკიდებელნი, რომელთაც უმრავლესობა ჰყავდათ.

ახალი ამბები

— **ქალაქის აბანოები.** სანიტარული ტექნიკურ ინსპექციის შრომის დაცვის განყოფილებამ ხელმეორედ დაათვალიერა ქალაქის გოგირდის აბანოები რემონტის გასაკეთებლად და სისუფთავის დასაცავად.

— **მიწათა და ხე-ტყის პროფ. კავშირი საქართველოს დამშეულთ.** მიწათა და ხე-ტყის პროფ. კავშირის ცენტრალური გამგეობის თანამშრომლებმა მარტის ჯამაგირებიდან— საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად,—გამგეობის პასუხისმგებელ თანამშრომლებმა—50,000 მ. დანარჩენებმა— 30,000 მან. სულ გადადებულია 430 000 მ.

— **კოოპერატივი „სანოვაგე“.** ამ დღეებში კოოპერატივ „სანოვაგის“ წევრთა საერთო წლიური კრება შესდგა. კრებაზე მიწათა და ხე-ტყის პროფ. კავშირის პასუხისმგებ მდივანმა ამხ. ფანცხავამ კოოპერატივის წევრებს მოუწოდა, რომ მათ გაამარკვიონ თავიანთი მუშაობა საერთო მუშათა კოოპერატივის შესაქმნელად, რათა კოოპერატივმა „სანოვაგემ“ შესძლოს თავის წევრების სრული დაკმაყოფილება.

— **ვოლგის დამშეულთათვის.** ამიერკავკასიის ცენტრალ მომხმარებელთა კავშირის თანამშრომლებმა გადასწყვიტეს ვოლგის დამშეულთა რამდენიმე ბავშვი მიიღონ შესანახად თავიანთ ხარჯზე და მისცენ თავშესაფარი.

— **ბათუმის ნავთსადგურში.** ბათუმის ნავთსადგურში 3 აპრილს ჩამოვიდა გემი „ობერ-პრეზიდენტ-დელბრუკი“ კონსტანტინოპოლიდან 500 ტონი ტვირთით; 4 აპრილს ჩამოვიდა გემი „სახარა“ 725 ტონი ტვირთით. ნავთსადგურიდან გავიდა: 3 აპრილს იტალიის გემი „ჯორჯია“, 4 აპრილს რუსეთის „ილიიჩი“.

— **ფოთის ნავთსადგურში.** 3 აპრილს ფოთიდან სოხუმში გავიდა „ცხენის წყალი“.

— **მისტიური გარსი—ეფფარიონი.** ალდაომის კვირაში ტფილისში, ხელოვნების სასახლეში კონსტანტინე გამსახურდიას ხელმძღვანელობით გაიხსნება მისტიური გარსი ეფფარიონი.

— **როზა ლიუქსემბურგის მოედანი.** ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომუნიზმის კოლეგიის დადგენილება შტაბის ყოფილ მოედანს ამიერიდან დაერქვას—როზა ლიუქსემბურგის მოედანი.

— **ფანტასტიური ხმები:** ტფილისში უკანასკნელ დღეებში გავრცელდა ხმები, ვითომ ორბელიანის აბანოში ცხავით მოკლული ქალი, რომლისთვისაც ვითომ თავი მოეჭრათ. ქალაქის აბანოების გამგე უარყოფს ამ ხმებს, ვინაიდან ამგვარ შემთხვევას ტფილისის აბანოებში არ ჰქონია ადგილი.

— **უკანონო და პარტახტიანი ხახადი.** ტფ. ქალ. ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, მარტის განმავლობაში ტფილისში 366 კაცი იყო პარტახტიანი სახადით, 27 ყვავილით. მათ შორის 264 კარგად გახდა—გარდაიცვალა 31.

— **პროსტიტუციის წინააღმდეგ.** სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან არსებულმა კომისიამ პროსტიტუციის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიმუშავა პროექტი.

— დაიკარგა ქართულ უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის მოსამზადებელი სემესტრის მოწმობა კონსტანტინე პეტრეს ძე ყიფიანის სახელზე შემოხსენებული მოწმობა ჩაითვალოს გაუქმებულად კოტე ყიფიანი.

სამხატვრო ქრონიკა

— **ქართული ასოების რეფორმისათვის. კონსტ. გამსახურდია** წ რუდგენ პროექტს რესპუბლიკის სახ. განათლების კომისარიატს ქართული ასოების რეფორმისათვის. ეს პროექტი ემყარება ორ პრინციპ ; პრინციპს ადგილის ეკონომიისას და ესთეტიურ პრინციპს სიმეტრიისას. უწინარეს ყოვლისა უნდა გათანასწორდეს ასოების სიგრძე-სიგანე, უნდა ჩამოეცალოს ზოგიერთ ქართულ ასოს ზედმეტი მოხაზვა, შემოღებულ იქმნას რამდენიმე ახალი ასო სრულიად ახალი ფონეტიური შინაარსით, უნდა განიხადეს რამდენიმე ძველი ასო, რომელიც ილია ჭავჭავაძის და სხვა ქართველ ლიტერატორების გავლენით გაძევებულ იქმნა ქართული ალფაბეტიდან.

— **კონსტ. გამსახურდიას მოხსენება** ოსვალდ შპენგლერზე, რომელიც კვირას გადაიდო მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, შესდგება დღეს აპრილ. 11-ს საღამოს სრულ ექვს საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში.

— გამოვიდა და იყიდება საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური სალიტერატურო ჟურ. „ქურა“ შემდეგი შინაარსით. ლექსები: სანდრო ეულიას, იონა ვაკელის, ნ. ზომლეთელის, ტ. სვანიძის, პეტრე სამსონიძის, კალე ფილდასაშვილის, შინატეხილის, ფრომისაშვილის, ალ. ჩხეიძის, თარგმანი ლექსები; ხინველისა, ისახარის & სხვ. ორიგინალური მოთხრობა: ი. ლისაშვილის თარგმანი მოთხრობები: კურსელისა, პეტრონიანის და სხვა.

კრიტიკული წერილები: ბოგდანოვისა, რაფენ კალიმისა, პეტრე ქუთათელაძისა, სეფისპირელისა და ბიბლიოგრაფია და ქრონიკა.

ჟურნალი ლამაზათაა გამოცემული ფართო ფორმატისაა, შეიცავს 34; გვერდს და ღირს ყველგან 20,000 მან.

ქართველი მოქანდაკე ქალი რუსუდან მდივანი

ამ დღეებში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სტამბოლიდან პარიზში გაემგზავრა ახალგაზრდა მოქანდაკე ქალი რუსუდან მდივანი, რომლის შესახებ ფრანგული გაზეთი „ბოსფორი“-ს რედაქტორი, რომელსაც მასთან საუბარი ჰქონია, მოგვითხრობს შემდეგს:

„ახალგაზრდა მოქანდაკე ქალი მესაუბრება თავის გეგმებზე და შესაძლებლობაზე... მისი დებიუტი. რაღაც ზღაპარს მოგაგონებთ. გადმოხვეწილი საქართველოდან, ამ ქვეყანაში საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების შემდეგ, ის მუშაობდა აქ, სტამბოლში. მე ხშირად მინახავს ის ფოტოგრაფიული აპარატით ძველი სტამბოლის სხვა და სხვა კუთხეში. ის მეტად გრძნობდა არტისტიულ ატმოსფეროს ძველი მუზეუმებისას, მუსლიმანთა და ქრისტიანულ ძეგლთა შორის.

რამდენი ამბობდა— ჩემმა მოგზაურობამ მე შემაგნებინა თუ რა არის ცათ.

ამ ახალგაზრდა მოქანდაკეს თვალებშიც მე შევხვდი სწორედ ამ აზრს და ფიქრს.

მის ქანდაკებებში აშკარად ჩანს, თუ რამდენად ძლიერია მასში ეს ინსტიქტი დაკვირვებისა და შთაგონების, მოძრაობის დაჭერის და სახის გამომეტყველების ექსპრესიის გადმოცემის.

მისი ბუნებრივი ნიჭი სწრაფად იზრდება და ვითარდება ძალდაუტანებლად და თავისუფლად ტალანტისათვის არ არის საჭირო ძალდატანება.

მას ყველაფერი ხელს უწყობს, რომ დიდი მოქანდაკე შეიქნას: მას ეტყობა ჭკუა, რომელიც ქმნის და ემორჩილება ხელი, რომელიც ფიქრს ანხორციელებს.

ადმირალი ლიუშენილის ქანდაკება მის ნაწარმოებში ყველაზე უკეთესად უნდა ჩაითვალოს თავის სისრულით და მიღწევით. მშვენიერია ის თავისი ტექნიკით და სინამდვილით და ყველა მნახველის აღტაცებას იწვევს.

არის კიდევ მრავალი ნიმუშები, რომელთა შორის აღსანიშნავია თ. ელიბა დადიანის ქალის ბიუსტი და სხვ. რ. მ. მელნიც უსათუოდ მოწმობენ ახალგაზრდა მოქანდაკის დიდ ნიჭს“...

პარიზში, როგორც გადმოგვცემენ ახალგაზრდა მოქანდაკე ქალი მუშაობს მოქ ნდაკე არონსონთან.

უცხოელი.

ახალგაზდათა ლიგა

ახალგაზდა ლიტერატორთა ლიგამ კვლავ მოაწყო თავისი საღამო. საღამო წმ. ნინოს სასწავლებელში გამართეს.

საღამოზე ახალგაზდების გარდა მოპატიჟებული იყო ჩვენი დამსახურებული პოეტებიც.

ახალგაზდური გატაცება ყველა ჩვენთაგანს გამოუცდია.

მაგრამ არ შეიძლება არ მიუთითოდ ზოგიერთ შეცდომებზე:

სათითაოდ არავის გამოვყოფ. ყველა ეს პოეზიის მოყვარულები: დუმბაძე, ძიძიშვილი, მდივანი, ანთაძე, მრევლიშვილი, რაზმაძე, ანდრიაშვილი, და ანდრონიკაშვილი რა თქმა უნდა ახალგაზდური ტემპერამენტის და ცხელი ინტუიციის ოჯახის წევრები არიან, მაგრამ მათ ნაწარმოებში არის აგრეთვე ზოგიერთი საეჭვო გამოთქმებიც:

თითქმის ყოველი მათი ნაწარმოები დამძიმებულია ნაავად სიტყვებით: (ბნედა, სიგიჟე, და სხვ.) ეს რუსეთის ავადმყოფიური შემოქმედებაა, რომელსაც ჩვენში მისდევენ მხოლოდ ერთგვარი კარიერის პოეტები.

ახალგაზდობა,—რომელიც უფრო ელასტიურია,—უნდა ერიდოს ასეთ გამოსვლებს.

მათ ნაწარმოებში უნდა თინათინობდეს ჯანსაღობა და სიხალისე, სიცოცხლე და სიყვარული. წუწუნი და პესიმიზმი უეჭველად ეს გაუგებარ ელასტიურობის ბრალია.

საკუთარი მეობის შექმნა—აი, დევიზი ყველა პოეტისთვის. შეიძლება პოეტს დიდი პრეტენზიები ჰქონდეს თავის შემოქმედებაზე, მაგრამ თუ მას აკლია საკუთარი სახივე და ფორმა— ის ყოველთვის გარიყული დარჩება.

ახალგაზდა ლიტერატორთა ლიგა კი არ არის გარიყული, იგი ჯერჯერობით ჩვენი პოეზიის ტბის ზედაპირზე დასცურაობს. საჭიროა ტბის უფსკრულის ხილვაც.

მშრომელ ახალგაზდათა ლიგამ უეჭველად უნდა მართლაც იშრომოს: მათ მოღვაწეობას სარჩულად ძველი ქართული მწერლობა უნდა ჰქონდეს, საპირეთ—გულწრფელობა. გულწრფელობა პირველი თავდებია პოეტისთვის. ჩვენში უგულწრფელობით ბევრი ნიჭი დაიღუპა.

გარდა ამისა ამ ახალგაზდებში,—როგორც მათი ნაწერი მოწმობს,—ზოგი უკვე დასრულებულ მწერლად შეიძლება მივიღოთ. ეს საშიშია. ყოველივე კალმის მონასმს თანისთანობითი გემოვნება უნდა ეტყობოდეს, მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზდათა პირველი საღამო უფრო საინტერესო იყო: უნდა კი პირიქით მომხდარიყო—ილია ამბობს: ვინც არ დამარცხდება ის არც გაიმარჯვებსო.

ერთი შენიშვნაც: ასეთი გამოფენა ვერასოდეს ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას, თუ აუდიტორია არ იქნება შესაფერი. ყიჟინი და უწესრიგობა აუტანელი იყო ამ საღამოს. საღამო კი უნდა იყოს —ინტიმური.

გრი — ლი.

თეატრი & ხელოვნება

გ. დავითაშვილის საღამო.

„მ. სან-ჟენ.“

9 აპრილს რუსთაველის თეატრში ქართულმა დრამამ ახალგაზრდა მსახიობ გ. დავითაშვილს გაუმართა საღამო. ანუ ხსენებულად და უფრო სწორედ რომ ვსთქვათ—შენეფისი. თუმცა აფიშებში ამას არ აცხადებენ, მაგრამ ამ საღამოებს ნამდვილი შენეფიზ'ების ხასიათი აქვთ.

დასდგეს სარდუს გენიალურ ტექნიკით გამართული პიესა „მადამ სან—ჟენ“ი.

ახალგაზრდა მსახიობი გ. დავითაშვილი გამოვიდა ნაპოლეონის როლში. სულ მცირე ხანია რაც ამ მსახიობმა შემოსდგა ფეხი ქართულ სცენაზე და ამ მოკლე ხნის განმავლობაში უკვე საზოგადოების ნდობა და ყურადღება დაიმსახურა.

გ. დავითაშვილი უსათუოდ მსახიობია და მსახიობი ნამდვილი სასცენო ნიჭით, ტემპერამენტით, განცდით.

ჩვენც სწორედ ამას უნდა დავეძებდეთ. ქართველ მსახიობს ქართველ სცენისთვის! და გ. დავითაშვილიც სწორედ ისეთი მსახიობია როგორც უნდა ჰყავდეს ქართულ თეატრს. ქართულს თეატრს ამშვენებდეს დიდი სახელები. ეს სახელები უნდა შეიცვალოს ახალი სახელებით, ახალი სახეებით და ჩვენი სურვილის განხორციელებას თითქოს უკვე ვხედავთ.

გ. დავითაშვილი რომ დარჩება სცენაზე—ეს იქიდანაც ჩანს რომ მსახიობს ერთი წლის განმავლობაში ისე მუყაითად უმუშავნია, რომ დაუძლევია ყველაზე დიდი სიძნელე. ეს სიძნელე იყო ძისა კილოს შეუფერებელი გამოთქმა, რომელიც გაემგვანება რუსულ აქცენტს, ჯრუ'ულ სცენიდან გადმოტანილს და ამ მცირე ხნის განმავლობაში გ. დავითაშვილს თითქმის სავსებით გაუმარჯვია კიდეც. ეს საბუთს გვაძლევს რომ გ. დავითაშვილი თავისი მუყაითი მუდმივი შრომით წავა წარმატების გზისკენ. მსახიობისთვის ყოველივე ღირსება უქმია, თუ მას არ ახლავს უნარი და სურვილი მუშაობისა.

როგორ შეასრულა ნაპოლეონის როლი? შეასრულა ისე, როგორც შეასრულებს ყოველი ჭეშმარიტი მსახიობი—ხელოვანი ყოველ როლს.

გ. დავითაშვილმა არ მოგვცა ნაპოლეონის სახე და მე მგონი ეს როლი მაინც და მაინც მისი შესაფერისი არ უნდა იყოს. ნაპოლეონის როლისთვის უსათუოდ ჯერ ერთი შესაფერისი გარეგნობა უნდა გქონდეს, მეორეც ეს როლი ყველა გამოჩენილ მსახიობს უთამაშნია და ზოგიერთი დეტალური გადმოცემა ნაპოლეონის ზნე-ჩვეულებებისა ყოფილა ნამდვილი და გ საკვირველი. ასეთი დეტალები არ ქონდა ახალგაზრდა მსახიობს.

მაგრამ ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. გვაინტერესებს მხოლოდ ის, რომ გ. დავითაშვილის თამაში ნამდვილი არტისტიული ტემპით იყო გამართული—მსახიობის პლასტიური თავდაჭერა სცენაზე, ჟესტიკულიაციის სიძუნწე, რათაც მომასწავებელია არტისტიულ შეგნების, სცენიური ექსპრესია და როლის გაგება უსათუოდ ექსტაზით ათვისებულს—გ. დავითაშვილს ყოველივე ეს, როგორც ხელოვანს, მაღლა აყენებს.

მსახიობს ქონდა კარგი მომენტები, კარგი შტრიხები. და ჩვენ წინ მისი სახე, როგორც არტისტის—სავსებით განსცენიურდა. გ. დავითაშვილის ნერვები—გრძნობენ სცენის სიცხელეს. მას აქვს რამპის განათების შეგრძნობისათვის არტისტიული სმენის და მხედველობის რეგულიატორი.

მომავალი მას აქვს. გ. დავითაშვილი მუშაობს და ძისი მუშაობაც საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს. წეღან კითხე გაზეთის ფურცლებზე მისი ბინის საძრახო ამბავი. ურწმუნო თომასავით არ მჯერა ეს ამბავი, მაგრამ თუ ეს მართალია და სამწუხაროდ ეს თხრობა იმისთანა პირებისგან მოდის, რომელნიც მას კარგად იცნობენ და დაახლოვებულნიც არიან, მაშინ უნდა ვსთქვათ რომ ეს გარემოება უნდა სასწრაფოდ გამოსწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე ცდა, მუშაობა უქმად ჩაივლის.

ყველაზედ მეტი ულმობა კარგი ბინაში საცხოვრებლად, მე მგონი ჯერ მსახიობს უნდა ჰქონდეს. ვისაც ესმის რა არის თეატრი ხელოვნება, იმან ეს იცის.

მივაქცევთ ამაზე ყურადღებას ვისაც შეუძლიან ამაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

მსახიობთა უზრუნველყოფა—ყოველივე ნივთიერ გაჭირვებისაგან—სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს.

რაღა ვთქვათ სხვებზე?

კარგი წარმოდგენა იყო.

სჩანდა მუშაობა რეჟისორის, მსახიობების და ერთობ კმაყოფილიც დაიშალა დამსწრე საზოგადოება.

ვახტანგ გარრიკი.

მოწერილი ამბები

სოფლის მდგომარეობა. ჩვენი სოფლები ქართლ-იმერეთ-მთიულეთ-გურიის თუ სხვა კუთხისა—ერთნაირად დამაკმაყოფილებელი. რომელი კუთხის სოფელიც არ უნდა ავიღოთ, სურათი ყველგან ერთი და იგივეა. ეკონომიურად გაღატაკებულია ხალხი; მოუწესრიგებელი ცხოვრება, დანგრეული სულიერი სიმშვიდე. უნუგეშობა. ნახავთ სოფელს და თქვენს წინაშე ასეთი საშინელი სურათი დაიხატება. რამ გამოიწვია ყოველივე ესენი; რამ მოუკლა გული სიცოცხლით აღსავსე ხალხს, რამ დასცა სოფლის კულტურა?!. ამის ერთი უმთავრესი მიზეზი არის სიმშილი.

სიმშილია შემქმნელი ასეთი ცუდი მდგომარეობისა და სიმშილმა გამოიწვია მცხოვრებთა უნუგეშობა და სულით განუვითარებელი. სიმშილი შესამჩნევად მატულობს. დამშეული ხალხი დანებარეს ვერ ხედავს. ის უნუგეშობას მისცემია.

ჩვენ მოწამე ვართ, რომ ქართველი საზოგადოება დიდი ხანია ცდილობს აღორძინებასა და აყვავებას.

მთელ საქართველოში იშვიათად შეხვდებით ისეთ სოფელს, რომელშიაც არ არსებობდეს უმდაბლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, სამკითხველოები, სახალხო სახლი, კოოპერატივები და სხვები, რომლებიც თანამედროვე კულტურას შეადგენენ.

დღესაც არსებობს ზემო ჩამოთვლილი დაწესებულებები, მაგრამ არც ერთი მათგანი თავის დონეზე არ სდგას.

სამკითხველოები სავსებით გამქრალია. სოფელი კაცი მოკლებულია ყოველ ახალ ამბავს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუდამ დაინტერესებული იყო და არის თუ რა ხდება ქვეყანაზე, თუ როგორ მიმდინარეობს რუსეთის დიდი რევოლიუცია და როგორ უცქერიან მას ბურჟუაზიული ქვეყნები, კოოპერატივებს მხოლოდ სახელწოდება შერჩენიათ.

ჩვენი თანამედროვე კულტურის შვილს თეატრიც შეადგენს, საიდანაც ჩვენ ვხედავთ ჩვენი ცხოვრების წარსულს, ჩვენი ქვეყნის რომელსამე კუთხეში მომხდარ ამბებს და სხვებს. თეატრის დანიშნულება, როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც დიდია. მის წყაროს უნდა ეწაფებოდეს ყოველი კაცი, თუ მას ნამდვილ კაცად მოაქვს თავი.

კარგა ხანია სოფლად წარმოდგენები აღარ იდგმება. თითქმის სავსებით გამქრალია კულტურული მუშაობა.

ჩემი ყურადღება სოფლის მასწავლებელთა უნუგეშო მდგომარეობამ მიიპყრო.

ახალგაზრდობა ჩვენი მომავლის დამპარია. ახალგაზრდობას შესაფერი აღმზრდელები უნდა. ამ მხრივ მასწავლებლებს უარი არ ეთქმის; მაგრამ შრომას სოციალისტურ ქვეყანაში დიდი ფასი უნდა ჰქონდეს და სამწუხაროდ მასწავლებლებისათვის ეს ასე არ ხდება. ისედაც მცირე ჯამაგირს ისინი თავის დროზე ვერ ღებულობენ. ეს ხალხი, თითქმის მთავრობისაგან მივიწყებული ხალხია.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა ისინი პატიოსნად განაგრძობენ თავიანთ მოვალეობის აღსრულებას, მაგრამ საერთო მწუხარებაში — ცხოვრება ასე უსვამს კითხვებს და—ისინიც მონაწილეობას იღებენ.

საერთოდ სოფლის მდგომარეობა უნუგეშოა. ყოველივე გამოწვეულია სიმშილისაგან. არც ერთი სოფელი მაძღარი არ არის. დღეს ამ რთულ პირობებში სოფლის ყოველ დაბრკოლებისგან დახსნა ყოვლად შეუძლებელია. გაზაფხული ადგება.

მიუხედავად ასეთი ცუდი მდგომარეობისა, სოფლელები გულმოდგინულად გამოდიან სამუშაოდ, რაიცა ჩვენ დიდ იმედს გვაძლევს, რომ ახლო მომავალში ჩვენ დავინახავთ, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად აყვავებულსა და აღორძინებულ სოფელს!..

დ. ივანიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

დაიკარგა საფულე, რომელშიაც იყო პირადობის მოწმობები მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან & მე-14 შრომის სკოლიდან № 588, მუშათა კოოპერატივის წიგნაკი და მეტრიკული ამონაწერი. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

დავით რაჟდენის ძე მგელაძე.